
URL: <http://urakparaki.com/?m=4&ID=86167>

ავტორი: ლუგეცია

ქანრი: პოეზია

გამოქვეყნების დრო: 2015-05-17 16:54:50

"მარადიულზე"

არ უნდა არსებობდნენ გულგამყოლი, სულგამყოლი,
გრძნობაგამყოლი ქალები,
ყველა საწინააღმდეგო არგუმენტის მიუხედავად,
მაინც ურყევად რომ სჯერათ იმ ერთადერთის არსებობის...
უეცრად თავს დამტყდარი გრძნობისთვის
სიგიჟის ჩამდენი ქალები,
სიგიჟის ჩადენის წამიდანვე
შუბლზე რომ ეწერებათ სიგყვა „თავქარიანი“,
რომელსაც მთელი დანარჩენი ცხოვრების სიღინჯე
ველარ ჩამორეცხავს.

გულით მოაზროვნე ქალები,
უკონცნელ, ჩაუხუტებულ პაემნებზე რომ დადიან,
რომ რაც შეიძლება დიდხანს შემოინახონ გუჩებმა
იმ წარსულის, იმ ერთადერთის გუჩების გემო,
მხრებმა - მისი მკლავების სითბო,
კანმა - მისი კანის სიმხურვალე.

ნაძალადევიმილმეყინულები,
თეთრი კაბის ქვეშ თალხმოსილი სულით,
გარედან, სხვებისთვის რომ მზის სხივებს ასხივებენ,
თვითონ კი კანი სიცვიისგან დახორკლილი აქვთ,
ბედნიერებაგაყალბებული ქალები...

ქმრებზე გადაყოლილი,
ოჯახის ბედნიერებისთვის ძუ ლომებივით მეზრძოლი,
ოჯახის კეთილდღეობისთვის რკინის ქალამნების ჩამცმელი,
ცხრა მთას იქით წამსვლელი,
და მაინც სხვაზე შეყვარებული,
ჩუმად შეყვარებული ქალები.

უნდა გადაშენდნენ ასეთები,
მათზე მხოლოდ ბებიები უნდა უყვებოდნენ შვილიშვილებს,
ზღაპრებს, ლეგენდებს,
მითებს უნდა უყვებოდნენ.
მათ მეცნიერები უნდა იკვლევდნენ,
როგორც მტვერდაყრილ სიძველეებს, როგორც ნაშთებს,
როგორც გამოქვაბულის კედელზე აღმოჩენილ ნახაგებს,
როგორც დინოზავრების ნაკვალევებს...

მოდი, ვუთხრათ ასეთ ქალებს,
რომ ღილი ხანია გაიზარდნენ,
და რომ ამბავი ცხოვრების ერთადერთზე,
ამბავი მარადიულზე,
ისეთივე ბავშვობის ზღაპარია, როგორც თოვლის ბაბუა.
გავეუხილოთ, რომ არ არსებობს მძინარე მზეთუნახავი,
და თუ არსებობს,
მან თავისით უნდა გაიღვიძოს...

ჩვენ კი, ახალი აღამიანები
ჩვენზე ჭკვიანი გელეფონების საუკუნიდან,
პაგარა კოლოფებში სამყაროს ჩამგევი აღამიანები,
შესაბამისად უნდა ვიღებდეთ
რაციონალურ გადაწყვეტილებებს,
და ყოველგვარი სენტიმენტების გარეშე,
ზედმეტი ყოყმანის გარეშე,
ზედმეტი ცრემლების გარეშე,
ვღებდეთ ხელშეკრულებას,
შემდეგი შინაარსით:
„ურთიერთგაგება - წესრიგშია,
ურთიერთპაგივისცემა - წესრიგშია,
ერთგულების უნარი - წესრიგშია.
ყველა პუნქტს ერთობლივად ვეთანხმებით
და ხელს ვაწერთ.
ჰოდა ერთად ვიყოთ,
დღეიდან ერთად ვიყოთ,
აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე,
ან სანამ გვენდომება,
ან ვიღრე არ მოგვებმრდება,
ან ვიღრე ჩვენი გზები არ გაიყოფა,
ან ვიღრე ვნების ცეცხლი არ ჩაქრება...
ამინ!“

არ უნდა არსებობდეს ეს ჯიუტი,
ალოგიკური, რუდიმენტული -
გრძნობა, სახელად სიყვარული.